WOMEN AGAINST VIOLENCE EUROPE
WAVE Network and European Info Centre against Violence

ფონდი „სუხუმი“ FUND "SUKHUMI"



საინფორმაციო გზამკვლევი:

პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა - ამოიცანი და დაიცავი თავი

ციფრულ სივრცეში კონტროლი და დაშინება ძალადობაა!
ამოიცანი, ისაუბრე, იმოქმედე!

2025

პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

დღევანდელ ციფრულ სამყაროში ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად სცდება ფიზიკურ სივრცეს და თავს იჩენს ეკრანს მიღმა, შეტყობინებებსა და სოციალურ ქსელებში. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ქალთა ფონდი „სოხუმი“ ახორციელებს პროექტს - ***„უხილავი აღარ არის: პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიური ძალადობის აღიარება და მასზე რეაგირება“*** - WAVE ქსელის მხარდაჭერით**.**

პროექტის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და იმ უხილავი ძალადობის ფორმების გამოვლენა, რომლებიც ხორციელდება ციფრული საშუალებების გამოყენებით, არღვევს ქალის პირად სივრცესა და დამოუკიდებლობას და საფრთხეს უქმნის მის უსაფრთხოებას. ტექნოლოგიური ძალადობა პარტნიორულ ურთიერთობებში მოიცავს ციფრულ თვალთვალს, ონლაინ შევიწროებას, პირადი ინფორმაციის უნებართვო გავრცელებას, კომუნიკაციის კონტროლს და სხვა ქცევებს, რომლებიც ზღუდავს ქალის თავისუფლებას.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ციფრული ძალადობაგამოვლილი ქალების ისტორიებზე დაფუძნებული ვიდეონარატივების შექმნა, თემატური ტრენინგები და ონლაინ საინფორმაციო აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბევრისთვის ჯერ კიდევ უხილავი ციფრული ძალადობის ფორმების განხილვას, ქალებისა და გოგონების გაფრთხილებას, მათი ციფრული უნარების გაძლიერებას, ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მიზნით, ასევე - ინფორმირებას აღნიშნული ძალადობის შემთხვევებზე დროული რეაგირების გზების შესახებ.

სარჩევი

პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია 2

საინფორმაციო გზამკვლევის მიზანი და სამიზნე ჯგუფები 4

I თავი. პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის არსი..... 5

II თავი. პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის ძირითადი ფორმები..... 6

III თავი. რატომ არის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა სახიფათო და რა ზიანს აყენებს ქალს?..... 7

IV თავი. როგორ ამოვიცნოთ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა? 8

V თავი. სამართლებრივი ჩარჩო და დაცვის მექანიზმები ციფრული ძალადობის წინააღმდეგ 10

5.1. საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო 10

5.2. ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო 11

5.3. ციფრული ძალადობის პრევენციის და დაცვის პრაქტიკული გზები 13

გამოყენებული ლიტერატურა..... 16

საინფორმაციო გზამკვლევის მიზანი და სამიზნე ჯგუფები

საინფორმაციო გზამკვლევის მიზანია:

- გააცნოს საზოგადოებას პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის არსი და მისი გამოვლინების ფორმები;
- ხელი შეუწყოს ციფრულ ძალადობაზე ცნობიერების ამაღლებას, პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებას;
- წარმოაჩინოს დაცვისა და დახმარების ხელმისაწვდომი მექანიზმები ქალებისა და გოგონებისთვის;
- წაახალისოს მოქალაქეები, იმოქმედონ ციფრული უსაფრთხოების დაცვისა და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიმართულებით.

გზამკვლევი განკუთვნილია:

- **ქალებისა და გოგონებისთვის,** რომლებსაც სურთ, უკეთ გაიგონ ციფრულ სივრცეში განხორციელებული ძალადობის ფორმები და თავდაცვის გზები. მათ შორის მათთვისაც, ვინც შეიძლება აღმოჩნდეს პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლთა ან რისკის ჯგუფში;
- **სპეციალისტებისთვის**, რომლებიც მუშაობენ ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების სფეროში;
- **საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის** - მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისთვის, რომლებიც ახალგაზრდებთან მუშაობენ;
- **თემის ლიდერებისა და ახალგაზრდული აქტივისტებისთვის**, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივ საქმიანობას გენდერული თანასწორობისა და ძალადობის პრევენციის სფეროში;
- **ჟურნალისტებისთვის და მედიის წარმომადგენლებისთვის**, რომლებიც აშუქებენ ქალთა უფლებებთან და ციფრულ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- **საზოგადოების ნებისმიერი დაინტერესებული წევრებისთვის**, რომელთაც სურთ, მიიღონ სანდო, მარტივად გასაგები ინფორმაცია ციფრულ სივრცეში განხორციელებული ძალადობის ამოსაცნობად და მის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

I თავი. პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის არსი

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ტექნოლოგიები ურთიერთობის, კომუნიკაციისა და თვითგამოხატვის განუყოფელ ნაწილად იქცა. სწორედ ამავე სივრცეში სულ უფრო ხშირად იჩენს თავს ძალადობის ნაკლებად ხილული ფორმა - **პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა**.

რა არის პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა?

პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა არის ქცევათა ერთობლიობა, როდესაც ყოფილი ან მოქმედი პარტნიორი ტექნოლოგიური საშუალებების - მობილური ტელეფონების, სოციალური ქსელების, მესენჯერების, ელფოსტის, სმარტმოწყობილობებისა და სხვა ციფრული პლატფორმების - გამოყენებით ახორციელებს პარტნიორის კონტროლს, თვალთვალს, დაშინებას, მანიპულაციას მისი დისკრედიტაციის, პირად ცხოვრებაში ჩარევის და ურთიერთობაში ძალაუფლების და დომინაციის შენარჩუნების მიზნით.

ციფრული სივრცე - პარტნიორზე ძალაუფლების შენარჩუნების ახალი ფორმა

ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა წარმოადგენს პარტნიორის მიმართ განხორციელებული ტრადიციული ძალადობის გაგრძელებას ციფრულ სივრცეში. ციფრული გარემო ქმნის ძალადობის ახალ განზომილებას, სადაც ტექნოლოგიები იძლევა პარტნიორზე ზეწოლის და კონტროლის შენარჩუნების ან გამწვავების საშუალებას. ამ გზით მოძალადე აძლიერებს მსხვერპლზე ემოციურ და ფსიქოლოგიურ წნეხს და ამყარებს ეკონომიკურ დამოკიდებულებას. მოძალადე იყენებს ტელეფონს, მესენჯერებს, სოციალურ ქსელებსა და სხვა ციფრულ არხებს პარტნიორზე ზეგავლენის და ძალაუფლების შესანარჩუნებლად და მის ცხოვრებაზე მანიპულირებისთვის.

II თავი. პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის ძირითადი ფორმები

ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილმა ძალადობამ შეიძლება მიიღოს მრავალი ფორმა და გამოიხატოს სხვადასხვა ინტენსივობით. მოძალადე იყენებს ციფრულ არხებს, აპლიკაციებსა და ონლაინ სივრცეებს პარტნიორზე ზეწოლის, კონტროლის ან დაშინების მიზნით.

ქვემოთ მოცემულია პარტნიორულ ურთიერთობებში ციფრული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები:

⇨ **ციფრული თვალთვალი და კიბერსტალკინგი**

პარტნიორი აკვირდება ქალის ონლაინ აქტივობას, ადგილმდებარეობას, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ მასალებს ან პირად მიმოწერას. ზოგჯერ იყენებს სპეციალურ აპლიკაციებსა და მოწყობილობებს, რათა გაიგოს, სად იმყოფება, ან ვისთან ურთიერთობს ქალი.

მიზანი: მუდმივი კონტროლისა და შიშის განცდის შექმნა.

⇨ **პირად სივრცეში ჩარევა და პირად ანგარიშებზე უნებართვო წვდომა**

მოძალადე მოითხოვს პაროლებს, ამოწმებს შეტყობინებებს, ან ახორციელებს პირად ანგარიშებზე და მოწყობილობებზე წვდომას ქალის თანხმობის გარეშე.

მიზანი: პირადი სივრცის, კონფიდენციალურობისა და დამოუკიდებლობის დარღვევა.

⇨ **ინტიმური მასალის გავრცელებით შანტაჟი**

პარტნიორი ან ყოფილი პარტნიორი ავრცელებს ან გავრცელების მუქარით აშანტაჟებს ქალს ინტიმური ფოტოებით და ვიდეოებით.

მიზანი: ემოციური ზეწოლა, შიშის და სირცხვილის განცდის გაღრმავება.

⇨ **დოქსინგი (პირადი ინფორმაციის საჯარო გავრცელება)**

მოძალადე აქვეყნებს ქალის პირად მონაცემებს: მისამართს, ტელეფონის ნომერს, სამუშაო ადგილის ან სხვა დეტალებს, რაც ზრდის საფრთხეს და არღვევს პირად უსაფრთხოებას.

მიზანი: დაშინება, საზოგადოებრივი ზეწოლა და უსაფრთხოების შეგრძნების დაკარგვა.

⇨ **ონლაინ შევიწროება და მუქარა**

მოძალადე აგზავნის შეურაცხმყოფელ და მუქარის შემცველ გზავნილებს (პირადად ან საჯაროდ). ეს ქცევა ხშირად მეორდება, ან ასევე შესაძლოა ხდებოდეს ორგანიზებულადაც, როცა მოძალადე იყენებს რამდენიმე ყალბ პროფილს ან ბოტს ქალის დისკრედიტაციისა და დაშინებისთვის.

მიზანი: ფსიქოლოგიური ზეწოლა და დაუცველობის განცდის გაჩენა.

⇨ **გენდერული დეზინფორმაცია და დისკრედიტაცია**

სოციალურ მედიაში ქალზე მიზანმიმართული ცრუ და დამახინჯებული ცნობების გავრცელება მისი რეპუტაციის შელახვის, დისკრედიტაციის და საზოგადოების მხრიდან მისი სტიგმატიზაციისთვის.

მიზანი: თვითშეფასების დაქვეითება და იზოლაციის გაღრმავება.

⇨ **„Deepfake“ და ფალიცირებული, ყალბი მასალების გამოყენება**

ტექნოლოგიის მეშვეობით ყალბი ფოტოების, ვიდეოების ან აუდიოჩანაწერების შექმნა. **მიზანი:** შანტაჟი, რეპუტაციის შელახვა და საზოგადოებრივი გაკიცხვა.

⇨ **სოციალური ინჟინერია (Social Engineering)**

მოძალადე იყენებს ფსიქოლოგიურ და ემოციურ მანიპულაციებს ყალბი ზრუნვის წარმოჩენით, პირადი ან ფინანსური ინფორმაციის მოსაპოვებლად. **მიზანი:** მოტყუებით ინფორმაციის მოპოვება და შემდგომი კონტროლი.

⇨ **ციფრული იზოლაცია და ინფორმაციის ბლოკირება**

მოძალადე აფერხებს ქალის წვდომას ინტერნეტზე, კომუნიკაციის არხებსა და ფინანსურ რესურსებზე, რაც ზღუდავს მის კავშირს გარე სამყაროსთან და მხარდაჭერის წყაროებთან.

მიზანი: მსხვერპლის მოქცევა იზოლაციაში და მოძალადეზე დამოკიდებულების გაღრმავება.

III თავი. რატომ არის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა სახიფათო და რა ზიანს აყენებს ქალს?

პარტნიორის მიმართ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა ზუსტად ისეთივე შედეგებს იწვევს, როგორც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა, ზოგჯერ - უფრო მძიმესაც. ხშირად ციფრული გარემო მხოლოდ ქმნის იმის ილუზიას, რომ თითქოს საფრთხე ნაკლებია, თუმცა რეალურად ის უშუალოდ უქმნის საშიშროებას (ან: უშუალოდ ემუქრება) ქალის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას და ულახავს ღირსებას.

ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან:

⇨ შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან. მოძალადეს არ სჭირდება ფიზიკური სიახლოვე;

⇨ ის ხშირად რჩება სხვებისთვის უხილავი და გამოუვლენელი, რადგან **ციფრული** ძალადობა არ ტოვებს ფიზიკურ კვალს (მაგალითად, როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში) ან, უმეტესწილად, თავად მსხვერპლი არ აცნობიერებს, რომ ეს ძალადობაა;

⇨ იწვევს მუდმივ შიშს და დაუცველობის განცდას, რაც ანგრევს ქალის ფსიქოლოგიურ სტაბილურობას;

⇨ ხელს უშლის სოციალურ ცხოვრებაში, განათლებასა და დასაქმებაში ჩართვას, რაც აძლიერებს იზოლაციას და მოძალადეზე დამოკიდებულებას;

⇨ არღვევს პირად თავისუფლებებს, მათ შორის კომუნიკაციის, არჩევანის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს.

ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის შედეგები:

- **ფსიქოლოგიური შედეგები:** ციფრული ძალადობა იწვევს მსხვერპლში მუდმივ შფოთვას, შიშს, სტრესს და ემოციურ გადაწვას. ქალები ხშირად განიცდიან დანაშაულს, სირცხვილს და თვითშეფასების დაქვეითებას. მუდმივი თვალთვალისა და კონტროლის განცდა არღვევს შინაგან სიმშვიდეს და იწვევს მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებას.

- **სოციალური შედეგები:** ქალები ცდილობენ, თავი აარიდონ საზოგადოებრივ სივრცეებს, როგორც რეალურ, ისე ონლაინ გარემოში. შედეგად - სუსტდება სოციალური კავშირები. ქალი ხშირად კარგავს ნდობას მეგობრებისა და კოლეგების მიმართ, რაც აფერხებს მის ჩართულობას საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში.

- **ეკონომიკური შედეგები:** ციფრული ძალადობა ხშირად ზღუდავს ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას. მოძალადე შეიძლება აკონტროლებდეს მის საბანკო ანგარიშებს, მოიპოვოს წვდომა ონლაინ შემოსავლებსა და სამუშაო სივრცეებზე, ან ხელი შეუშალოს პროფესიულ რეპუტაციას დეზინფორმაციის გავრცელებით. შედეგად - იზრდება ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე.

- **უსაფრთხოების შედეგები:** პირადი ინფორმაციის გამჟღავნება, დოქსინგი ან თვალთვალი უშუალო საფრთხეს უქმნის ქალის ფიზიკურ უსაფრთხოებას. მუდმივი შიში, რომ ონლაინ მუქარა რეალურ დევნად ან ძალადობად გადაიზრდება, იწვევს მასში მუდმივ დაძაბულობას და დაუცველობის განცდას.

IV თავი. როგორ ამოვიცნოთ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა?

გახსოვდეს, რომ ციფრული ძალადობა იშვიათად იწყება აშკარა აგრესიით. ხშირად ის იმალება ზრუნვის, სიყვარულის ან პარტნიორული ინტერესის ფორმის მიღმა, რაც დროთა განმავლობაში გადადის კონტროლსა და დაშინებაში. მისი დროული ამოცნობა გადამწყვეტია, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის თავიდან აცილება.

ციფრული ძალადობის ამოსაცნობი ნიშნები

ციფრული ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვაგვარად. მისი ამოცნობა შესაძლებელია როგორც პარტნიორულ ურთიერთობაში ქცევითი ნიშნების მიხედვით, ასევე - ტექნოლოგიური ნიშნებით.

ციფრული ძალადობის ამოცნობა ქცევითი ნიშნების მიხედვით

- ⇨ მოძალადე ცდილობს პარტნიორის ანგარიშებსა და მოწყობილობებზე წვდომას, მოითხოვს პაროლებს, ან ამოწმებს შეტყობინებებს „ნდობის და ერთგულების დასადასტურებლად“. ცდილობს დარწმუნებას, რომ ეს ქცევები „ზრუნვაა” ან „სიყვარულის ნიშანი”.
- ⇨ მოძალადე თვალს ადევნებს სოციალურ ქსელებში პარტნიორის გამოქვეყნებულ მასალებს. ეკითხება, ვის ესაუბრა ქალი, ან რატომ იყო „ონლაინ“ და არ უპასუხა მის შეტყობინებას.
- ⇨ გამოხატავს ეჭვსა და უკმაყოფილებას ციფრული აქტივობის გამო (მაგ.: *„ვის დაუწერე ლაიქი?“*, *„ვისთვის დადევი ეს პოსტი?“*);
- ⇨ აკრიტიკებს ან ზღუდავს ქალის თავისუფალი გამოხატვის უფლებას სოციალურ ქსელებში. ამტკიცებს, რომ პოსტები ან ფოტოები „შეუფერებელია“, ან „აზიანებს რეპუტაციას“ და უბიძგებს ქალს თვითცენზურისკენ.
- ⇨ იყენებს ლოკაციის ან თვალთვალის აპლიკაციებს, მოითხოვს გადაადგილების დადასტურებას ან მუდმივ ინფორმირებას.
- ⇨ აგზავნის შეტყობინებებს, კომენტარებს ან ხმოვანებს, რომლებიც შეიცავს მუქარას, აგრესიას ან დამამცირებელ ტონს.
- ⇨ ავრცელებს ან გავრცელების მუქარით აშანტაჟებს ქალს პირადი ფოტოებითა და ვიდეოებით.
- ⇨ ქალს უჩნდება განცდა, რომ მას მუდმივად აკვირდებიან ან აკონტროლებენ, რადგან ატყობს, რომ მისმა პარტნიორმა იმაზე მეტი იცის მის ონლაინ ქცევაზე, ვიდრე უნდა იცოდეს.

ციფრული ძალადობის ამოცნობა ტექნოლოგიური ნიშნების მიხედვით

- ⇨ ტელეფონი ან კომპიუტერი იწყებს არასტანდარტულად მუშაობას, მაგალითად, ნელდება, ცხელდება, ან სწრაფად იცლება ელემენტი, მიუხედავად იმისა, რომ არ ვლინდება ტექნიკური მიზეზი;
- ⇨ სოციალურ ქსელებში ან ელფოსტაზე ჩნდება უცნობი შეტყობინებები, წაკითხული წერილები ან პაროლის შეცვლის მცდელობები;
- ⇨ მოდის უცნობი ბმულები და ფაილები („დააჭირე აქ“, „შეამოწმე ფოტო“), რაც შეიძლება იყოს თვალთვალის ან „ფიშინგის“ მცდელობა;
- ⇨ მოწყობილობაზე ჩნდება ახალი აპლიკაციები, რომელთა დაყენების ფაქტი მომხმარებელს არ ახსოვს;

- ⇨ სოციალურ ქსელებში ქვეყნდება პოსტები, ან იგზავნება შეტყობინებები, რომლებიც მას არ გაუგზავნია;
- ⇨ ტელეფონის კამერა ან მიკროფონი ირთვება თვითნებურად, თითქოს ვინმე შორიდან აკვირდება;
- ⇨ რეგულარულად შემოდის ზარები ან შეტყობინებები უცნობი ნომრებიდან, ხშირად განმეორებით ან მსგავს შინაარსზე.

V თავი. სამართლებრივი ჩარჩო და დაცვის მექანიზმები ციფრული ძალადობის წინააღმდეგ

5.1. საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

ქალთა მიმართ ციფრული ძალადობის აღიარება და მასზე პრევენციისა და რეაგირების ვალდებულება ეყრდნობა რამდენიმე ფუნდამენტურ საერთაშორისო დოკუმენტს, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს, დაიცვას ქალთა უფლებები ძალადობის ყველა ფორმისგან, მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობისგან.

- ⇨ **გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია (1993)**, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1993 წელს მიიღო (რეზოლუცია 48/104), წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელმაც ცალსახად აღიარა ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა და დისკრიმინაციის ფორმა.

  დეკლარაცია განმარტავს, რომ ძალადობა მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ქალისთვის, საზოგადოებრივ ან კერძო სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ 1993 წლის ტექსტი არ იყენებს ციფრული ძალადობის ტერმინს, მისი ფართო დეფინიცია და პრინციპები ვრცელდება იმ ქმედებებზეც, რომლებიც დღევანდელ ტექნოლოგიურ გარემოში ხორციელდება ონლაინ სივრცეში.

- ⇨ **ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წელს მიღებული კონვენცია** წარმოადგენს ქალთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტს. საქართველომ კონვენციას ხელი მოაწერა 1994 წლის 26 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 1995 წელს. CEDAW ავალდებულებს ყველა ხელმომწერ სახელმწიფოს, მიიღოს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა აუცილებელი ზომები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ოჯახურ ცხოვრებაში.

კონვენციის **ზოგადი რეკომენდაცია №19** განმარტავს, რომ ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა არის დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც „ზღუდავს ქალთა შესაძლებლობებს, კაცებთან თანასწორად ისარგებლონ თავიანთი უფლებებით და თავისუფლებებით“. შემდგომში, **ზოგადი რეკომენდაცია №35 (2017)** განავრცობს №19-ის შინაარსს და ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალთა დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან, მათ შორის იმ შემთხვევებში, როცა ძალადობა ხდება ციფრულ სივრცეში, მაგალითად, ონლაინ შევიწროების, კიბერბულინგის ან პირადი ინფორმაციის დაუკითხავად გავრცელების ფორმით.

- **ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების შესახებ (სტამბოლის კონვენცია, 2011).** სტამბოლის კონვენცია წარმოადგენს **ევროპის საბჭოს ფარგლებში პირველ სამართლებრივად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტს**, რომელმაც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა აღიარა ადამიანის უფლებების დარღვევად და გენდერული დისკრიმინაციის ფორმად. საქართველოს მხრიდან სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება 2017 წელს მოხდა, რითაც იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს ქალთა დაცვის, პრევენციისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ეფექტიანი სისტემის დანერგვა შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და პოლიტიკის დონეზე ინტეგრირებული ზომების განხორციელება.

  დოკუმენტი აღიარებს, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ შექმნა ძალადობის ახალი ფორმები, როგორებიცაა: თვალთვალი, დაშინება, სექსუალური შევიწროება და პირადი მონაცემების უნებართვო გავრცელება ონლაინ სივრცეში.

  კონვენციის **34-ე მუხლი** ადგენს თვალთვალის (*stalking*) დასჯადობას, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც ის ხორციელდება ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ხოლო მე-**40 მუხლი** ეხება სექსუალურ შევიწროებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ გარემოში.

5.2. ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ციფრული ძალადობის ცალკე სამართლებრივი კატეგორია ჯერ არ არის განსაზღვრული, არსებული კანონმდებლობა მოიცავს იმ ძირითად მექანიზმებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნოლოგიების მეშვეობით ჩადენილი ძალადობის იდენტიფიცირებისა და დასჯისთვის.

- **კანონი „ქალთა მიმართ ძალადობისა და/ან ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების შესახებ“**

კანონი არ მოიხსენიებს ციფრულ ძალადობას ცალკე ფორმად, თუმცა აღიარებს **ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას**, რომლის ფარგლებშიც ტექნოლოგიური საშუალებების მეშვეობით განხორციელებული ქცევები: შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცი-

რება, მუქარა ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს, ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; ასევე, ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების შეზღუდვა (მუხლი 4, ბ, გ, ე პუნქტები), შეიძლება იდენტიფიცირდეს, როგორც ძალადობის ფორმა.

აღნიშნული კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს მსხვერპლთა დაცვა და შექმნას შესაბამისი სერვისები, მათ შორის ციფრულ სივრცეში გამოვლენილი შემთხვევებისთვის.

⇨ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

კოდექსის რიგი მუხლები შეეხება კიბერდანაშაულის და ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, რომლებიც ციფრული ძალადობის ფორმებსაც მოიცავს:

- **მუხლი 151 - მუქარა**, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით გავრცელებული მუქარის ფორმით;
- **მუხლი 151[1] - თვალთვალი**, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკურ ან ელექტრონულ მეთვალყურეობას პირის თანხმობის გარეშე;
- **მუხლი 157 - პერსონალური მონაცემების უკანონო მოპოვება ან გამჟღავნება**, რაც მოიცავს პირადი ფოტოებისა და ვიდეომასალის გავრცელებას ინტერნეტით ან სხვა ციფრული არხებით.

აღნიშნული მუხლები ქმნის სამართლებრივ საფუძველს ციფრულ სივრცეში ჩადენილი ქმედებების აღსაკვეთად და დასასჯელად, რომლებიც არღვევს ქალთა პირად ცხოვრებას, ღირსებასა და უსაფრთხოებას.

⇨ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი

კანონი კრძალავს პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და გავრცელებას ინფორმაციის სუბიექტის თანხმობის გარეშე (მუხლი 5). კანონი ასევე განსაზღვრავს დაზარალებული პირის დაცვისა და სამართლებრივი რეაგირების მექანიზმებს. კერძოდ, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს:

• მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება *(მუხლი 16)*;
• მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა *(მუხლი 17)*;
• ნებისმიერ დროს გამოიხმოს თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე *(მუხლი 20)*;
• დარღვევის შემთხვევაში მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს *(მუხლი 22)*.

კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ სამართლებრივ მექანიზმებს პირადი მონაცემების დარღვევისას, რაც ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს ციფრული ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისთვის.

⇨ **გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი (2010)**

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის პრინციპებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ავალდებულებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, განახორციელონ ქმედითი პოლიტიკა სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ძალადობა კანონის ტექსტში ცალკე კატეგორიად არ არის მოხსენიებული, მისი ნორმები ქმნის **სამართლებრივი დაცვის ზოგად ჩარჩოს**, რაც მოიცავს ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ გენდერულ ძალადობაზე რეაგირების ვალდებულებას.

⇨ **დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი (2014)**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი კრძალავს დისკრიმინაციას გენდერული და სხვა ნიშნით ყველა სფეროში და განსაზღვრავს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან მექანიზმებს, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველთან მიმართვის შესაძლებლობას.

კანონის პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნას **ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაზე რეაგირების იურიდიულ საფუძვლად**, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქალზე ზეწოლა, შევიწროება ან დისკრედიტაცია ხორციელდება სქესის ან გენდერული იდენტობის ნიშნით ციფრულ სივრცეში.

⇨ **საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030)**

სტრატეგია ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, უზრუნველყოს რეაგირება პირადი ინფორმაციის უკანონო გავრცელების ფაქტებზე და გააძლიეროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმები.

ერთ-ერთი პრიორიტეტი არის **პირადი სივრცის და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა ციფრულ გარემოში**, რაც ქმნის საფუძველს სახელმწიფოს მიერ ტექნოლოგიებით ჩადენილ ძალადობაზე რეაგირების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

5.3. ციფრული ძალადობის პრევენციის და დაცვის პრაქტიკული გზები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი რეკომენდაციები და მოქმედების გზები, რომლებიც დაეხმარება ადამიანს საკუთარი მონაცემების დაცვაში, ციფრული ძალადობის პრევენციასა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმების გამოყენებაში.

ციფრული ძალადობის დროული ამოცნობა, მტკიცებულებების შენარჩუნება და შესაბამისი უწყებების დროული ინფორმირება გადამწყვეტია, როგორც პირადი უსაფრთხოების, ასევე სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის.

პირადი ანგარიშების დაცვა:

- გამოიყენე ძლიერი, განსხვავებული პაროლები ყველა ანგარიშზე და რეგულარულად შეცვალე ისინი;
- ჩართე ორფაქტორიანი ავტორიზაცია (2FA);
- არ გაუზიარო პაროლები და მოწყობილობაზე წვდომა სხვებს, მათ შორის პარტნიორს;
- შეამოწმე, რომ სოციალურ ქსელებში უსაფრთხოების პარამეტრები მაქსიმალურად არის გამკაცრებული.

ინფორმაციის გაზიარება და კომუნიკაცია:

- შეზღუდე პირადი ინფორმაციის საჯაროდ (public) გაზიარება სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით - ფოტოები, ადგილმდებარეობა და ყოველდღიური გადაადგილება;
- რეგულარულად გადაამოწმე პროფილების კონფიდენციალურობის (privacy) პარამეტრები და განსაზღვრე, ვინ ხედავს შენს პოსტებს;
- არ გახსნა უცნობი ბმულები ან დანართები („დააჭირე აქ“, „შეამოწმე ფოტო“). ეს შეიძლება იყოს ფიშინგის ან თვალთვალის მცდელობა;
- არ გააზიარო ინტიმური ან პირადი მასალები, თუნდაც სანდო პირებთან;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენე ბლოკირების („block“) და შეტყობინების („report“) ფუნქციები სოციალურ ქსელებში.

მტკიცებულებების დაცვა:

- შეინახე ყველა შეტყობინება, სქრინშოთი, ელფოსტა, ზარი ან ბმული, რომელიც შეიცავს მუქარას, შანტაჟს ან შეურაცხყოფას;
- არ წაშალო შეტყობინებები ან პროფილები მანამ, სანამ მათ სამართალდამცავ ორგანოებს არ გადასცემ;
- უსაფრთხოების მიზნით, შეინახე ეს მასალა რამდენიმე ფორმატში (მაგ.: მეხსიერების ბარათი, ღრუბლოვანი საცავი).

ციფრული უსაფრთხოების ტექნოლოგიური ნიშნების შემოწმება:

- თუ ტელეფონი უცნაურად ცხელდება, ელემენტი სწრაფად იცლება, ან ჩნდება უცნობი აპლიკაციები, ეს შეიძლება მიუთითებდეს თვალთვალის პროგრამაზე;
- შეამოწმე შენს სოციალურ ქსელებში და ელფოსტაზე „მოწყობილობების ისტორია”. უცნობი ლოგინები მიუთითებს უნებართვო წვდომაზე;
- საჭიროების შემთხვევაში მიმართე IT სპეციალისტს ან სანდო ორგანიზაციას ციფრული უსაფრთხოების შემოწმებისთვის.

ვის მივმართოთ დახმარებისთვის

ციფრული ძალადობის ან ონლაინ შევიწროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია დროული რეაგირება. დახმარების მიღება შესაძლებელია შემდეგ სახელმწიფო და მხარდაჭერის სერვისებში:

112 – გადაუდებელი დახმარების ცენტრი
დარეკეთ დაუყოვნებლივ, თუ საფრთხე უკავშირდება მუქარას, თვალთვალს ან ფიზიკური ძალადობის რისკს.
ვებგვერდი: www.112.ge

შინაგან საქმეთა სამინისტრო – ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი
მიმართეთ ციფრული ძალადობის, კიბერშევიწროების ან პირადი ინფორმაციის უკანონო გავრცელების შემთხვევაში.
დეპარტამენტს არ აქვს ცალკე ცხელი ხაზი - მოქალაქეებს შეუძლიათ დაკავშირება **შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიანი ცხელი ხაზის (122)** მეშვეობით, საიდანაც შეტყობინება გადამისამართდება შესაბამის სამსახურში.
ელფოსტა: hrdepartment@mia.gov.ge
ვებგვერდი: www.police.ge

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური
თუ თქვენი ფოტოები, ვიდეოები ან პირადი ინფორმაცია უკანონოდ გავრცელდა ინტერნეტში, შეგიძლიათ მიმართოთ:
ვებგვერდი: www.dataprotection.gov.ge
ტელეფონი: 032 242 1000
ელფოსტა: info@dataprotection.gov.ge

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების უფასო საკონსულტაციო ცხელი ხაზი – 116 006 მოქმედებს 24/7 რეჟიმში და უზრუნველყოფს კონფიდენციალურ ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და სოციალურ დახმარებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. სერვისი ხელმისაწვდომია რვა ენაზე: ქართულ, რუსულ, ინგლისურ, უკრაინულ, არაბულ, ირანულ, ფრანგულ და თურქულ ენებზე.

ქალთა მხარდაჭერის რეგიონული ცენტრები და სამოქალაქო ორგანიზაციები
კონსულტაციისა და მხარდაჭერისთვის შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ქალთა უფლებების დაცვაზე, ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირების საკითხებზე.

დამატებითი ინფორმაცია შესაბამისი ორგანიზაციების და მათი მომსახურების შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე „ძალადობაგამოვლილ ქალთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი": www.sosfsokhumi.ge/ngo

გამოყენებული ლიტერატურა

1. UN Women (2025). *FAQs: Digital abuse, trolling, stalking and other forms of technology-facilitated violence against women*.
   ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/en/articles/faqs/digital-abuse-trolling-stalking-and-other-forms-of-technology-facilitated-violence-against-women?utm_source=chatgpt.com
2. **New Zealand Classification Office.** (2025). *Technology-Facilitated Intimate Partner Violence* [Research report]. Wellington: Classification Office.
   ხელმისაწვდომია: https://www.classificationoffice.govt.nz/resources/research/online-misogyny-and-violent-extremism-index/online-abuse-and-harassment-of-women-and-girls/technology-facilitated-intimate-partner-violence/
3. UN Women Europe & Central Asia (2023). *The dark side of digitalization: Technology-facilitated violence against women*.
   ხელმისაწვდომია: https://eca.unwomen.org/sites/default/files/2024-01/research-tf-vaw_full-report_24-january2.pdf?utm_source=chatgpt.com
4. **UN Women.** (2023). *Technology-Facilitated Violence Against Women: Taking Stock of Evidence and Data Collection.* New York: UN Women & WHO.
   ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/sites/default/files/2023-04/Technology-facilitated-violence-against-women-Taking-stock-of-evidence-and-data-collection-en.pdf
5. **UN Women.** (2024). *Technology-Facilitated Violence Against Women and Girls: Report of the Secretary-General (A/79/500).* United Nations
   ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/sites/default/files/2024-10/a-79-500-sg-report-ending-violence-against-women-and-girls-2024-en.pdf
6. **Tech Safety Canada / BC Society of Transition Houses.** (2021). *Technology Safety Planning: Checklist for Anti-Violence Workers.* British Columbia: BCSTH
   ხელმისაწვდომია: https://bcsth.ca/wp-content/uploads/2021/03/8.-Technology-Safety-Planning-Check-List-for-Anti-Violence-Workers-March-2021.pdf
7. **Georgetown Institute for Women, Peace & Security (GIWPS).** (2024). *Technology-Facilitated Gender-Based Violence: An Emerging Issue in Women, Peace and Security.* Washington D.C.: Georgetown University
   ხელმისაწვდომია: https://giwps.georgetown.edu/wp-content/uploads/2024/06/Technology-Facilitated-Gender-Based-Violence.pdf
8. **Ohio Department of Children and Youth.** (2024). *Intimate Partner Violence (IPV) Toolkit: Supporting Victims and Survivors, Including Technology-Facilitated Abuse.* Columbus, OH: State of Ohio
   ხელმისაწვდომია: https://dam.assets.ohio.gov/image/upload/v1730814979/childrenandyouth.ohio.gov/For%20Providers/Ohio_DCY_IPV_Toolkit_Final.pdf
9. **UNFPA.** (2023). *Submission to the Global Digital Compact: Preventing Technology-Facilitated Gender-Based Violence*. New York: United Nations Population Fund
   ხელმისაწვდომია: https://www.un.org/digital-emerging-technologies/sites/www.un.org.techenvoy/files/GDC-Submission_UNFPA.pdf

10. **Piskernik, L.** (2021). *The challenges of fighting cyber-violence against women and girls* [Conference presentation]. Council of Europe Gender Equality Commission Webinar, Strasbourg
ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/documents/75383286/207520194/The-Challenges-of-fighting-Cyberviolence-against-Women-Girls_Webinar.pdf/3b7932bc-4e6b-b026-7f35-d865a005dcb6?t=1681812627968&utm_source=chatgpt.com
11. **eSafety Commissioner (Australia).** (2023). *Women's Technology Safety & Privacy Toolkit.* Sydney: Safety Net Australia / WESNE
ხელმისაწვდომია: https://techsafety.org.au/resources/resources-women/?utm_source=chatgpt.com

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

1. **United Nations.** (1979). *Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW)*
ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women

2. **United Nations General Assembly.** (1993). *Declaration on the Elimination of Violence against Women*
ხელმისაწვდომია: https://digitallibrary.un.org/record/179739

3. **Council of Europe.** (2011). *Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention)*
ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/istanbul-convention

4. **Council of Europe.** (2024). *Council of Europe Gender Equality Strategy 2024–2029*
ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/genderequality/gender-equality-strategy

5. **United Nations.** (2024). *Report of the Secretary-General on Ending Violence against Women and Girls (A/79/500)*
ხელმისაწვდომია: https://www.unwomen.org/sites/default/files/2024-10/a-79-500-sg-report-ending-violence-against-women-and-girls-2024-en.pdf

ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტები

1. **საქართველოს კონსტიტუცია** (1995, ბოლოს ცვლილებებით)
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346

2. **საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“** (2010)
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624

3. **საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“** (2014).
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339187

4. **საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების შესახებ“** (2006)
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/92352

5. **საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“** (2011)
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

6. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** (1999)
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426

7. **საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030)**
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5494701

საინფორმაციო გზამკვლევი მომზადდა
საქველმოქმედო ჰუმანიტარული ქალთა ფონდი „სოხუმის“
მიერ მიმდინარე პროექტის „უხილავი აღარ არის: პარტნიორულ ურთიერთობებში
ტექნოლოგიური ძალადობის ამოცნობა და რეაგირება“ ფარგლებში
WAVE ქსელის მხარდაჭერით

გზამკვლევი შეიმუშავა

ეკატერინე გამახარიამ

რედაქტორი:

ლალი შენგელია

დამკაბადონებელი:

ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2

womansukhumi@gmail.com
fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi/
www.facebook.com/WFSTbilisiOffice